



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მერსინ ტურიზმი-ს
ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა



შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	4
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
1. შპს „მერსინ ტურიზმი“ და მისი საქმიანობა.....	11
2. კომპანიის საოპერაციო გარემო.....	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას	20
5. ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში.....	21
6. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	22
7. ძირითადი საშუალებები	23
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	24
9. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	24
10. სესხები.....	24
11. მარაგები	24
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25
13. ამონაგების ანალიზი კატეგორიის მიხედვით	25
14. საოპერაციო ხარჯები	25
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	26
16. გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები	26
17. ფინანსური რისკის მართვა	26
18. კაპიტალის მართვა.....	29
19. შეფასების კატეგორიის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა.....	30
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	30



შპს მერსინ ტურიზმი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „მერსინ ტურიზმი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 30 სექტემბერს

ეროლ ავგორენ

დირექტორი

2023 წლის 30 სექტემბერი, საქართველო



შპს მერსინ ტურიზმი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „მერსინ ტურიზმი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული ადრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული ადრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული ადრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შესაბამეა 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 30 სექტემბერს

✓
ეროლ ავგორენ

დირექტორი

2023 წლის 30 სექტემბერი, საქართველო





დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მერსინ ტურიზმი-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მერსინ ტურიზმი“-ს თანდართულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2022 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;



2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას,
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.



მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს აუდიტ +2010 (სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-490713)

მარიამ ჭურაძე (სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-A-177802)

30 სექტემბერი, 2023

თბილისი, საქართველო



მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს აუდიტ +2010 (სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-490713)

მარიამ ჭურაძე (სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-A-177802)

30 სექტემბერი, 2023

თბილისი, საქართველო



შპს მერსინ ტურიზმი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

	შენიშვნა	2022	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	6	38,418	40,734
აქტივები გამოყენების უფლებით			-
სხვა არამატერიალური აქტივები		47	47
სულ გრძელვადიანი აქტივები		38,465	40,781
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	998	871
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	701	948
ფული და ფულის ექვივალენტები	9	305	961
სულ მიმდინარე აქტივები		2,004	2,780
სულ აქტივები		40,469	43,560
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		26,991	29,128
გაუნაწილებელი მოგება		(43,670)	(48,609)
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი		2,250	2,250
სულ კაპიტალი		(14,429)	(17,231)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	10	50,536	55,419
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		50,536	55,419
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	4,293	4,969
გადასახდელი გადასახადები		70	403
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,363	5,372
სულ ვალდებულებები		54,898	60,791
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		40,469	43,560

ეროლ ავგორენ

დირექტორი

30 სექტემბერი, 2023

ნათია ტაკიძე

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2023

შპს მერსინ ტურიზმი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

	შენიშვნა	2022	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	6	38,418	40,734
აქტივები გამოყენების უფლებით			-
სხვა არამატერიალური აქტივები		47	47
სულ გრძელვადიანი აქტივები		38,465	40,781
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	998	871
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	701	948
ფული და ფულის ექვივალენტები	9	305	961
სულ მიმდინარე აქტივები		2,004	2,780
სულ აქტივები		40,469	43,560
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		26,991	29,128
გაუნაწილებელი მოგება		(43,670)	(48,609)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		2,250	2,250
სულ კაპიტალი		(14,429)	(17,231)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	10	50,536	55,419
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		50,536	55,419
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	4,293	4,969
გადასახდელი გადასახადები		70	403
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,363	5,372
სულ ვალდებულებები		54,898	60,791
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		40,469	43,560

ეროლ ავგორენ

დირექტორი


30 სექტემბერი, 2023



ნათია ტაკიძე

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2023



შპს მერსინ ტურიზმი

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	3	14,040	8,704
საოპერაციო ხარჯები	4	(9,903)	(7,134)
საერთო მოგება/ზარალი		4,137	1,570
სხვა შემოსავალი		(6,330)	(4,586)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(920)	(904)
ძირითადი საშუალების რეალიზაციის შედეგი		-	(151)
საოპერაციო მოგება/ზარალი		(3,113)	(4,071)
საკურსო სხვაობა		8,184	3,862
არასაოპერაციო ხარჯი		(132)	
ზარალიმოგების გადასახადით დაბეგვრამდე		4,939	(209)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(5)
წლის ზარალი		4,939	(214)
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული ზარალი		4,939	(214)

ეროლ ავგორენ

დირექტორი

30 სექტემბერი, 2023

ნათია ტაკიძე

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2023

შპს მერსინ ტურიზმი

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	3	14,040	8,704
საოპერაციო ხარჯები	4	(9,903)	(7,134)
საერთო მოგება/ზარალი		4,137	1,570
სხვა შემოსავალი		(6,330)	(4,586)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(920)	(904)
ძირითადი საშუალების რეალიზაციის შედეგი		-	(151)
საოპერაციო მოგება/ზარალი		(3,113)	(4,071)
საკურსო სხვაობა		8,184	3,862
არასაოპერაციო ხარჯი		(132)	
ზარალიმოგების გადასახადით დაბეგვრამდე		4,939	(209)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(5)
წლის ზარალი		4,939	(214)
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული ზარალი		4,939	(214)

✓
ეროლ ავგორენ

დირექტორი

30 სექტემბერი, 2023



ნათია ტაკიძე

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2023



შპს მერსინ ტურიზმი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	26,991	(43,670)	2,250	(14,429)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(3,052)		-	
საწესდებო კაპიტალის ზრდა	916		-	
პერიოდის ზარალი		4,939	-	
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი			-	
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	29,128	(48,609)	2,250	(17,231)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(516)		-	
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,193		-	
პერიოდის ზარალი		(214)	-	
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი			-	
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	28,450	(48,394)	2,250	(17,694)

ეროლ ავგორენ

დირექტორი

30 სექტემბერი, 2023

ნათია ტაკიძე

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2023


შპს მერსინ ტურიზმი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	26,991	(43,670)	2,250	(14,429)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(3,052)		-	
საწესდებო კაპიტალის ზრდა	916		-	
პერიოდის ზარალი		4,939	-	
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი			-	
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	29,128	(48,609)	2,250	(17,231)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(516)		-	
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,193		-	
პერიოდის ზარალი		(214)	-	
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი			-	
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	28,450	(48,394)	2,250	(17,694)



ეროლ ავგორენ

დირექტორი

30 სექტემბერი, 2023



ნათია ტაკიძე

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2023

შპს მერსინ ტურიზმი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	4,939	(214)
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	2,580	2,792
ფინანსური შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	(8,184)	(3,862)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	(666)	(1,284)
ცვლილებები:		
მარაგებში	(127)	(70)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	207	(68)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(394)	(161)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	(980)	(1,582)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(518)	(412)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	254	511
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(264)	99
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის (კლება)/ზრდა	(2,137)	677
სესხების აღება	2,684	1,566
სესხების დაფარვა	-	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	547	2,243
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	41	10
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(655)	771
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	961	190
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	305	960

ეროლ ავგორენ

დირექტორი

30 სექტემბერი, 2023

ნათია ტაკიძე

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2023

შპს მერსინ ტურიზმი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	4,939	(214)
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	2,580	2,792
ფინანსური შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	(8,184)	(3,862)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	(666)	(1,284)
ცვლილებები:		
მარაგებში	(127)	(70)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	207	(68)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(394)	(161)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	(980)	(1,582)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(518)	(412)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	254	511
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(264)	99
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის (კლება)/ზრდა	(2,137)	677
სესხების აღება	2,684	1,566
სესხების დაფარვა	-	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	547	2,243
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	41	10
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(655)	771
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	961	190
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	305	960

ეროლ ავგორენ

დირექტორი

30 სექტემბერი, 2023



ნათია ტაკიძე

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2023



1. შპს „მერსინ ტურიზმი“ და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შპს „მერსინ ტურიზმისთვის“ („კომპანია“).

კომპანია დაარსდა 2011 წლის 14 ნოემბერს და რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ სარეგისტრაციო ნომრით: 445403288.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის სრულად ფლობდნენ ბატონი თოღა ავგორენ (80%) და ბატონი ათილგან არიფაღაოღლუ (20%).

კომპანიას ყავს ორასზე მეტი თანამშრომელი განსხვავებულ სექტორში: ადმინისტრაცია და სასტუმროს ოპერაციები.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ჩართულია მასპინძლობის ინდუსტრიაში. კომპანია ფლობს და მართავს მაღალი კლასის ლუქს სასტუმროს ბათუმში, სასტუმრო ველმონდის ბრენდის ქვეშ. ასევე, კომპანია იჯარით აქირავებს საოფისე სივრცეებს და სამორინეს აღჭურვილობას დაკავშირებულ და მესამე მხარეებზე.

რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი არის გოგებაშვილის ქუჩა N60, 6010, ბათუმი, საქართველო.

წარდგენის ვალუტა. ეს ფინანსური ანგარიშგებაში წარდგენილია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

თანხების დამრგვალება. ფინანსურ ანგარიშგებაში და განმარტებით შენიშვნებში წარდგენილი ყველა თანხა უახლოეს ათასეულ ქართულ ლარამდე თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა განსხვავებული ინტერპრეტაციების და ხშირი ცვლილებების საგანია. საქართველოში შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკაა, დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ გათვალისწინოს ყველა გარემოება რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ამ ეფექტს, არსებობის შემთხვევაში, რა გავლენა შეიძლება ქონდეს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად .

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ის შესაბამისად, პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის კონვენციის მიხედვით, მოდიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების პირველადი აღიარებით რეალური ღირებულების საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები წარმოდგენილია ქვემოთ.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს აღრიცხვის გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას. ის ასევე ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის მიღებისას განახორციელონ მსჯელობა. საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მსჯელობების და სირთულის მაღალ დონესთან ან საკითხები, სადაც დაშვებები და გაანგარიშებები არსებითია ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება

საწარმოს სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ოპერირებს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში ("GEL"), რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საწარმოს სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაანგარიშებიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი / სხვა საოპერაციო ხარჯები - წმინდა. სავალუტო მოგება და ზარალი, დაკავშირებული მიღებულ სესხებთან და ფულის და ფულის ეკვივალენტებთან, აისახება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მუხლში - „ფინანსურ შემოსავალი ან ხარჯი“. ყველა დანარჩენი სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, მუხლში „სხვა საოპერაციო ხარჯები - წმინდა“. წლის ბოლო კურსებით გადაანგარიშება არ ხორციელდება არაფულადი მუხლებისთვის რომლებიც შეფასებულია თავდაპირველი ღირებულებით. არაფულადი მუხლები შეფასებულია უცხოური ვალუტის რეალური ღირებულებით, მათ შორის კაპიტალში ინვესტიციები, გადაანგარიშებულია სავალუტო კურსების მიხედვით რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის. სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი არაფულად მუხლებზე რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით, ასახულია როგორც რეალური ღირებულების ზრდის ან კლების ნაწილი.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსი

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ანარიცხი, როცა მოითხოვება.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება განცალკევებულ აქტივად, შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწვევითანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულება შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება ან ზარალში. გასულ წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი ამობრუნდება, შესაბამისად, თუ აღიღი ქჟონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებულ შეფასებებში ცვლილებებს.

გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება ან ზარალში „სხვა საოპერაციო ხარჯები - წმინდა“ მუხლში.

ცვეთა და ამორტიზაცია

სხვა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ერთეულების ცვეთა და ამორტიზაცია გაანგარიშება შემცირებად ნაშთის მეთოდის გამოყენებით:

ცვეთის/ამორტიზაციის განაკვეთი

	<u>ცვეთის/ამორტიზაციის განაკვეთი</u>
შენობა	5 %
მოწყობილობები	10-25 %
ავტო	10-25 %
საოფისე აღჭურვილობა	20-25 %
ავტომობილები	20 %
არამატერიალური აქტივები	15 %

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხდება და საჭიროებისამებრ შეიცვლება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს.

აქტივების გამოყენების უფლებები. კომპანიას იჯარით აქვს აღებული ბინა. ხელშეკრულება შეიცავს მხოლოდ საიჯარო კომპონენტებს.

იჯარიდან წარმომდბილი აქტივები თავდაპირველად ფასდება ახლანდელი ღირებულებით.

აქტივების გამოყენების უფლებები ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასება,
- საიჯარო გადახდები, რომლებშიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით.
- ყველა თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი და
- აქტივის იმ კოდიციამდე აღდგენის ხარჯი რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულებით.

აქტივების გამოყენების უფლებები ზოგადად იცვითება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ხანგრძლივობის პერიოდს შორის უმცირესი ვადით წრფივი მეთოდით. ყველა იჯარაში სადაც კომპანია მოიჯარეა იჯარის ხანგრძლივობის ვადა უფრო მოკლეა ვიდრე აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა და შესაბამისად ის იცვითება წრფივად იჯარის პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კომპანიამ გააუქმა საიჯარო ხელშეკრულება და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აღარ არის.

ფინანსური ინსტრუმენტები

შეფასების ძირითადი პირობები რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღისათვის, ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

ტრანზაქციების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ტრანზაქციების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, დამატებული დარიცხული პროცენტი, და ფინანსური აქტივებისათვის, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის („ECL“) ანარიცხით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმომდბისას გადავადებული საკომისიოს ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდის

საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას, შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აღიარდება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იგივე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისათვის და პირდაპირ აისახება სააღრიცხვო ზარალად.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები

კომპანია ფინანსურ აქტივებს აფასებს ამორტიზებული ღირებულებით. სავალ ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვისთვის გამოიყენება; და (ii) ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნესმოდელი. ბიზნესმოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების გამომუშავების მიზნით. კომპანიის მიზანია მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას აქტივებისაგან. („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“).

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადის მახასიათებლები. კომპანიის ბიზნეს მოდელი მოიცავს მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას აქტივებისაგან, შესაბამისად კომპანია განსაზღვრავს წარმოადგენს თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას („SPPI“).

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო მთლიანად ცვლის პორტფელის მართვის ბიზნესმოდელს. რეკლასიფიკაციას სამომავლო შედეგების მოტანა შეუძლია და ხორციელდება ბიზნესმოდელის შეცვლიდან პირველივე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში. საწარმოს არ შეუცვლია მისი ბიზნესმოდელი მიმდინარე და შესადარისი პერიოდების განმავლობაში და არ განუხორციელებია არცერთი რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის რეზერვი “ECL”-სთვის. კომპანიას აქვს ორი ტიპის ფინანსური აქტივები რომლებიც “ECL” მოდელს ექვემდებარება - სავაჭრო და სხვა ფინანსური მოხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას, რომელიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად არსებობის მთელი პერიოდის ზარალის ანარიცხს იყენებს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნისთვის. ინდივიდუალური შეფასების მიდგომა გამოიყენება „ECL“-ის შეფასებისათვის.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დასკვნის, რომ ამოღების

გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტას ნიშნავს. ინდიკატორები რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს შემდეგია: მოთხოვნა 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით, მიმდინარეობს ლიკვიდაცია ან გაკოტრება ან აღსრულების ღონისძიება დასრულებულია. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების ღონისძიებას იმ დროისთვის, როდესაც კომპანია ხელშეკრულების მიხედვით ვადადამდგარი თანხების ამოღებას ცდილობს, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან ბ) კომპანიას გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გადასვლის შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და (i) ასევე ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს ან (ii) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს და არც ასხვისებს და ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს.

კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ აქვს აქტივის დაუკავშირებელ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები - გაანგარიშების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა).

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე საბანკო ნაშთებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი ფლობილია საკონტაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს „SPPS“-ს, და (ii) არ წარმოადგენს „FVTPL“-ს. მხოლოდ კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციები, როგორიცაა bail-in-ის შესახებ კანონი გარკვეულ ქვეყნებში, არ ახდენს გავლენას მხოლოდ ძირი და პროცენტის გადახდის ტესტზე, მანამდე სანამ, ის არ იქნება გათვალისწინებული საკონტრაქტო პირობებში, როცა ეს მახასიათებლები იქნება მიღებული მიუხედავად იმისა თუ კანონმდებლობაში ცვლილება მოხდება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფულის და ფულის ეკვივალენტების ნაშთებისთვის არაარსებითია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარდება როდესაც მეორე მხარე შეასრულებს მის საკონტრაქტო ვალდებულებას და თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სესხები

სესხების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის დანახარჯების გამოკლებით და შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული გაურკვევლობები

ხელმძღვანელობა კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებულ გაურკვევლობებს გადააფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, როდესაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციებისათვის კორექტირებები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. დამატებული ღირებულების გადასახადი დაკავშირებული გაყიდვებთან, გადახდილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოებისათვის, როდესაც საქონელი ან მომსახურება მიეწოდება მომხმარებლებს. ჩასათვლედი დღგ-ს ზოგადად ანაზღაურება ხდება გადასახდელ დღგ-სთან შეპირისპირებით დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღებისას. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიის ამონაგების მთავარი წყარო, კერძოდ ხილისა და ბოსტნეული პროდუქტის რეალიზაცია განთავისუფლებულია გადასახდელი დღგ-სგან და ჩათვლის უფლებით. გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე და მოცემულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ან ვალდებულებების მუხლში. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ანგარიშგების თარიღით მოქმედი ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ საგადასახადო კოდექსში განახორციელა ცვლილებები, რომლის მოხდევითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიებს მათ გამომუშავებულ მოგებაზე (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ ევალებათ გადაიხადონ მოგების გადასახადი, მანამ სანამ არ მოხდება ამ მოგების განაწილება ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადი 15% გადასახდელია „აგროსილ“ ღირებულებაზე (ე. ი. წმინდა დივიდენდები

„იგროსება“ წყაროსთან დასაკავებელი („withholding“) გადასახადის 5%-ით, თუ შესაძლებელია, და იყოფა 0.85-ზე) დივიდენდის გადახდის მომენტიდან ფიზიკური თუ არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის. 2017 წლის 1 იანვრიდან გადახდილი დივიდენდი რეზიდენტი იურიდიულ პირებზე არ ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

დივიდენდები მოგებაზე რომელიც მიღებული იყო 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას „აგროსილ“ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია

შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც გამოითვლება როგორც დეკლარირებული და გადახდილი გადასახადი დასაბეგრ მოგებაზე vs იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების, რომელიც გამრავლებულია განაწილებულ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯად იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თუ რა არის ფაქტობრივი გადახდის თარიღი ან ის პერიოდი, რომელზეც ხდება დივიდენდების გადახდა. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება რომელიც შეიძლება წარმოიშვას დივიდენდების გადახდისას არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გარდა დივიდენდების განაწილებაზე, გადასახადი ასევე გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების უფასოდ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. დაუყოვნებლივ იბეგრება საგადასახადო შეღავათიანი პირობების იურისდიქციებში რეგისტრირებულ საწარმოებზე წინასწარი გადახდები და სხვა სპეციფიკური ტრანზაქციები ასეთ საწარმოებთან, აგრეთვე გაცემული სესხები ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე. ამგვარი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახადო კრედიტების გამოკლებით, მოთხოვნილ აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე, შეპირისპირებით შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის იურისდიქციებში რეგისტრირებულ პირთათვის წინასწარი გადახდებზე ან ანაზღაურებაზე გაცემული სესხების ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე, აღირიცხება საოპერაციო ხარჯების მუხლში.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება „პირველი შემოსვლა - პირველი გასვლა“ მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომითი დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და დაკავშირებულ საწარმოო ზედნაღებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება ან ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება ახლანდელი ღირებულების საფუძველზე.

გახანგრძლივების და შეწყვეტის უფლებები ჩართულია იჯარებში კომპანიის მასშტაბით. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმიზაციისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვისას. იჯარის შეწყვეტის და გახანგრძლივების უფლებების უმრავლესობა გამოყენებადია მხოლოდ კომპანიის მიერ და არა შესაბამისი მეიჯარის მიერ. გახანგრძლივების უფლებები (ან პერიოდი შეწყვეტის უფლების შემდეგ) იჯარის ხელშეკრულებაში არის მხოლოდ მაშინ როდესაც საიმედოდ გარკვეულია რომ გახანგრძლივდება (არ იქნება შეწყვეტილი). საიჯარო გადახდები რომლებიც გადაიხდება სავარაუდოდ გარკვეული გახანგრძლივების უფლების გამოყენების შემდეგ ასევე ჩართულია ვალდებულების შეფასებაში.

საიჯარო გადახდები დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ასეთი განაკვეთის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, რა შემთხვევაც ზოგადად გვაქვს კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით, გამოყენებულია კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი და რომელიცაა განაკვეთი რომელსაც კომპანია გადაიხდიდა ისეთი სესხისთვის, რომლის აღებაც აუცილებელი იქნებოდა აქტივების გამოყენების უფლებების მსგავსი აქტივის შესაძენად, მსგავს ეკონომიკურ გარემოში, მსგავსი პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით

საიჯარო გადახდები გაყოფილია ძირის თანხად და ფინანსურ ხარჯად. ფინანსური ხარჯი დაერიცხება მოგება ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში, ისეთი ოდენობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების დარჩენილ ნაშთთან მიმართებით წარმოქმნის მუდმივ პერიოდულ საპროცენტო განაკვეთს თითოეული პერიოდისთვის.

გადახდები რომლებიც უკავშირდება აღჭურვილობის და ავტომობილების მოკლევადიან იჯარებს და დაბალფასიან აქტივებს აღიარდება ხარჯად წრფივი მეთოდის საფუძველზე მოგება ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარებია 12 თვიანი ან ნაკლებ ვადიანი იჯარები.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის წარდგენილი საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება საკუთარი კაპიტალს იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება და დამტკიცდება. კომპანიის დამტკიცებული ბუღალტრული ანგარიშები არის საფუძველი მოგების განაწილების და სხვა სათანადო მოქმედებების. ქართული კანონმდებლობით მოგების განაწილების საფუძველს წარმოადგენს მიმდინარე და წინა წლების წმინდა მოგება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასის თანხით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების ის ოდენობა, რომლის მიღების უფლებას კომპანია მოელის, რომ მოიპოვებს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, გარდა მესამე მხარის სახელით მიღებული სახსრებისა.

ამონაგები აღიარდება ნეტო თანხით ფასდაკლებების, ფასდათმობების, უკან დაბრუნებების, დღგ-ს, საექსპორტო მოსაკრებლების და სხვა მსგავსი სავალდებულო გადასახადების გარეშე.

მომსახურების გაყიდვა

კომპანია მომსახურებას გასწევს ფიქსირებული და ცვლადი ფასების ხელშეკრულებებით. თუ საწარმო გადასცემს მომსახურებაზე კონტროლს გარკვეული დროის განმავლობაში, შესაბამისად ის შესასრულებელ ვალდებულებას ასრულებს გარკვეული დროის განმავლობაში, ამონაგები მომსახურების გაწვიდან აღიარდება სააღრიცხვო პერიოდში რომელშიც ხდება მომსახურების გაწევა. ფიქსირებულ ფასიან ხელშეკრულებებისთვის, ამონაგები აღიარდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მთლიანი მომსახურებების გაწეული წილის პროპორციულად რადგან მომხმარებელი მომსახურებას და სარგებელს იღებს მაშინვე.

როდესაც ხელშეკრულება მოიცავს რამდენიმე შესასრულებელ ვალდებულებას, გარიგების ფასი ნაწილდება ყოველ განცალკევებულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასების საფუძველზე. როდესაც პირდაპირ დაუკვირვებელია, ისინი შეფასებული ხდება მოსალოდნელ თვითღირებულებაზე მარჯის დამატებით.

ამონაგების შეფასება, თვითღირებულება ან დასრულებამდე მიღწეული პროგრესი გადაიხდება თუ გარემოებები იცვლება. ნებისმიერი შედეგი რომელიც ზრდის ან ამცირებს ამონაგების ან თვითღირებულების შეფასებას აისახება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც გარემოებები ხელმძღვანელობისათვის ცნობილი გახდა, რომლებმა გამოიწვიეს შეფასების გადახედვა.

დაფინანსების კომპონენტი არ იგულისხმება რომ არის წარმოდგენილი, რამდენადაც გაყიდვები ხორციელდება 30 დღიანი საკრედიტო პირობებით, რაც საბაზრო პრაქტიკასთან თანხვედრაშია.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ბანკებში არსებული ყველა მოთხოვნამდე საბანკო ნაშთისთვის დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სახელშეკრულებო ვალდებულებები.. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები, კომპანიის მიერ მომხმარებლებისთვის პროდუქტზე კონტროლის გადაცემამდე აღიარებულია სახელშეკრულებო ვალდებულებად. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას რომ მოახდინოს პროდუქტის და მომსახურების გადაცემა მომხმარებლებისთვის, რომლის სანაცვლოდაც კომპანიას მიღებული აქვს ანაზღაურება.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის (როგორიცაა სამედიცინო მომსახურება) დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოქვეყნების შემდეგ

გამოქვეყნების შემდეგ ფინანსურ ანგარიშგებაში ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს კომპანიის მფლობელის დასტურს, რომელმაც მოახდინა ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვა.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და მსჯელობების მუდმივი გადახედვა ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების

მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრულ საფუძველზე მოხდება არსებული გარემოებების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე მსჯელობებს. მსჯელობებს, რომელთაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და შეფასებებს რომლებსაც შეიძლება გამოიწვიოს არსებითი კორექტირებები აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. კომპანია ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. იმის განსაზღვრად ტრანზაქციისას გამოიყენება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთები, თუ ასეთი ტრანზაქციებისთვის აქტიური ბაზარი არ არსებობს, გამოყენებულია მსჯელობები. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ მსჯელობის საფუძველად გამოყენებულია მსგავსი ტრანზაქციების ფასების ანალიზი არადაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების ვადები და პირობები წარმოდგენილია შენიშვნაში 7.

აქტივების გამოყენების უფლებების ცვეთა. იჯარის ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და პირობას, რომლებიც წარმოშობს ეკონომიკურ სტიმულს რომ გამოყენებულ იქნეს გახანგრძლივების უფლება ან არ იქნას გამოყენებული შეწყვეტის უფლება. გახანგრძლივების უფლებები (ან პერიოდი შეწყვეტის უფლების შემდეგ) იჯარის ხელშეკრულებაში არის მხოლოდ მაშინ როდესაც საიმედოდ გარკვეულია რომ გახანგრძლივდება (არ იქნება შეწყვეტილი).

გახანგრძლივების და შეწყვეტის უფლებები. გახანგრძლივების და შეწყვეტის უფლებები ჩართულია იჯარებში კომპანიის მასშტაბით. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმიზაციისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვისას. იჯარის შეწყვეტის და გახანგრძლივების უფლებების უმრავლესობა გამოყენებადი მხოლოდ კომპანიის მიერ და არა შესაბამისი მეიჯარის მიერ.

იჯარის ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც ქმნიან ეკონომიკურ წახალისებას გახანგრძლივების უფლებების გამოყენების ან შეწყვეტის უფლების არ გამოყენების. იჯარის ვადა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიცავს გახანგრძლივების უფლებებს (ან შეწყვეტის უფლების შემდგომ პერიოდს) თუ გონივრულად ივარაუდება რომ იჯარა გახანგრძლივდება (ან არ შეწყდება).

საიჯარო ვალდებულებების განსაზღვრისას გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები. დისკონტირების განაკვეთის გამოსათვლელად კომპანია იყენებს თავის ზღვრულ სასესხო განაკვეთს რადგან იჯარაში ნაგულისხმევი სასესხო განაკვეთის ადვილად შეფასება შეუძლებელია.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსაზღვრისას, კომპანია იყენებს ანალიტიკურ და სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც შექმნილი და გამოქვეყნებულია სებ-ის მიერ ყოველთვიურად. ეს არის განაკვეთი რომელსაც კომპანია საქართველოში გადაიხდიდა მსგავსი აქტივის შესაძენად სესხისთვის, რომლის აღებაც საჭირო იქნებოდა მსგავსი პირობებით და მსგავსი უზრუნველყოფით.

5. ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

2021 წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმის თავდაპირველი გამოყენების გავლენა;
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა ფასს 16-ის შესწორებები.

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებების მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე. მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გაცემული ფასს სტანდარტებსა და

ინტერპრეტაციებში ქვემოთ მოყვანილი ცვლილებები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. მათ მიღებას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ინფორმაციის გამჭვირვაებაზე ან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე.

კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები3 ;
- ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (ცვლილებები)4 ;
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (ცვლილებები)3 ;
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (ცვლილებები)2 ;
- ბასს 16 - ძირითადი საშუალებები, (ცვლილებები)2 ;
- ბასს 37 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და აქტივები (ცვლილებები)2 ;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2018-2012 წწ. ციკლი (ცვლილებები - ფასს 1, ფასს 9, ფასს 16, ბასს 41)2 ;
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (ცვლილებები)3 ;
- ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (ცვლილებები)3 ;
- ბასს 12 - მოგებიდან გადასახადები (ცვლილებები)3 .

1. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;
2. ძალაშია 2022 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;
3. ძალაშია 2023 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;
4. სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

შპს მერსინ ტურიზმი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 31.12.2022-ის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

7. ძირითადი საშუალებები

საწყისი ღირებულება	მიწა და შენობები	მოწყობილობები	ავჯი და სხვა ინვენტარი	საოფისე ადჭურვილობა	ავტომობილები	არამატერიალური აქტივები	სულ
ბალანსი 31/12/2021	33,571	2,030	2,752	53	12	47	38,465
ბალანსი 31/12/2021	35,233	2,029	3,393	63	16	47	40,781
ბალანსი 31/12/2022	33,571	2,030	2,752	53	12	47	38,465
დანამატები	-	450	65	4	-	-	518
აქტივის ჩამოწერა	-	(11)	(511)	-	-	-	(522)
ცვეთა პერიოდისთვის	(1,662)	(446)	(455)	(13)	(4)	-	(2,580)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	8	260	-	-	-	268
ბალანსი 31/12/2021	35,233	2,029	3,393	63	16	47	40,781
დანამატები	-	199	191	4	17	-	412
აქტივის ჩამოწერა	-	-	(1,011)	-	(30)	-	(1,041)
ცვეთა პერიოდისთვის	(1,746)	(500)	(530)	(15)	(1)	-	(2,792)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	510	-	20	-	530
ბალანსი 31/12/2020	36,979	2,330	4,233	73	10	47	43,672

უზრუნველყოფაში ჩადებული აქტივები. ძირითადი საშუალებების ყველა ერთეული 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩადებული იყო უზრუნველყოფილი საბანკო სესხების პირობებში

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31-12-22	31-12-21
სავაჭრო მოთხოვნები	701	948
სულ	701	948

კომპანია იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას რათა შეაფასოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც გამოიყენება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთელი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხის შესაქმნელად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ("ECL") შესაფასებლად ინდივიდუალური შეფასების მიდგომა გამოიყენება.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31-12-22	31-12-21
ნაღდი ფული	86	81
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	47	423
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	172	457
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	305	961

10. სესხები

სესხები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31-12-22	31-12-21
საბანკო სესხები	40,335	50,442
სესხები დაკავშირებული მხარისგან	8,062	2,709
დარიცხული პროცენტის ვალდებულება	2,138	2,268
სულ	50,536	55,419

11. მარაგები

მარაგები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31-12-22	31-12-21
სასაქონლო ფასეულობები	797	707
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	201	164
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	998	871

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31-12-22	31-12-21
სავაჭრო ვალდებულებები	4,293	4,969
საპენსიო ვალდებულება	0	(0)
საგადასახადო ვალდებულება	70	403
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,363	5,372

13. ამონაგების ანალიზი კატეგორიის მიხედვით

მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების ჩაშლა :

კომპანიის ამონაგები წარმოიქმნება საქონლის და მომსახურების გადაცემის მომენტში, შემდეგ მთავარ პროდუქტების ხაზებსა და გეოგრაფიულ რეგიონებზე:

	2022	2021
ოთახები და სტუმრებისთვის გაწეული დაკავშირებული მომსახურებები	9,567	6,195
საკვები	89	56
რესტორანი	2,491	1,477
სხვა	192	52
სულ ამონაგები მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	12,338	7,780
ამონაგები დაკავშირებულ მხარეებთან იჯარებიდან	1,702	925
სულ	14,040	8,704

14. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2022	2021
ცვეთა და ამორტიზაცია	2,580	2,792
ხელფასის ხარჯი	2,560	1,496
კომუნალური ხარჯი	1,866	1,167
საკვების და სხვა მარაგის თვითღირებულება	1,233	627
სხვადასხვა საქონელი	1,195	780
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	36	45
გამოუქვითავი ხარჯები	8	49
სხვა საგადასახადო ხარჯი	378	89
სამრეცხაო	-	44
კომუნიკაციის ხარჯი	48	47
სულ	9,903	7,134

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2022	2021
პროფესიული მომსახურების საზღაური	116	99
დაზღვევა	124	96
ტრანსპორტირების და მოვლის ხარჯი	97	39
ბანკის საკომისიოები	54	46
ლიფტის მოვლის ხარჯი	52	50
მარკეტინგის ხარჯი	29	105
საპენსიო ხარჯი	40	23
წარმომადგენლობითი ხარჯი	3	2
კომპიუტერის ხარჯი	7	33
ერთჯერადი საქონლის ხარჯი	36	15
ივენტის ხარჯი	1	7
იჯარის ხარჯი	36	36
სხვა ხარჯები	325	353
სულ	919	904

16. გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები

გადასახადებთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი გარემოებები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დოკუმენტების გამოცემითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, არანაირი ვალდებულება დამატებითი გადასახადებისა ან ჯარიმები არ წესდება საგადასახადო ორგანოებისგან მიერ, როდესაც სამი წელია გასული იმ წლის დასრულებიდან, რომელშიც მოხდა ამგვარი დარღვევა.

აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ ასახეს შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, გამოცემული ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და საგადასახადო ორგანოების მიერ თავისი ინტერპრეტაციების აღსრულებაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დაზღვევა. სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ეტაპზეა და მსოფლიოში განვითარებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერ არ არის ფართოდ ხელმისაწვდომი. კომპანიას არ აქვს თავისი ქონების და ბიზნესის შეფერხების სრული სადაზღვევო დაფარვა. სანამ კომპანია მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო უზრუნველყოფას, არსებობს რისკი იმისა რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვა ან დაზიანება გამოიწვევს არსებით უარყოფით ეფექტს კომპანიის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები. როდესაც კომპანია მოიჯარეა, სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახადები შეუქცევადი საოპერაციო იჯარებისთვის შემდეგია:

17. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს

(სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების განფენილობა აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკის განფენილობა წარმოიშვება კომპანიის მიერ დაკავშირებულ მხარეებთან ფულის გასესხებით ან სხვა ოპერაციებით, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს და კრედიტთან დაკავშირებული გარესაბაღანსო ვალდებულებებს.

საკრედიტო რისკი მართვა. საკრედიტო რისკი არ წარმოადგენს დიდ რისკს კომპანიის საქმიანობისთვის; კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკების კონცენტრაციის მიმართ განფენილობა, რომელიც უკავშირდება სავაჭრო მოთხოვნებს, რადგან კომპანიის საქმიანობა სტრუქტურირებულია ისე რომ ქონდეს კრედიტით გაყიდვები მხოლოდ სუპერმარკეტების დიდ ქსელებთან, რომლებიც იხდიან რეგულარულად და სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები მუდმივად ნარჩუნდება დაბალ დონეზე.

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკების მიმართ განფენილობა. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) ვალუტის, (ბ) საპროცენტო განაკვეთის და (გ) კაპიტალის პროდუქტების, ყველა რომელიც განფენილია ზოგადი და კონკრეტული საბაზრო მოძრაობების მიმართ. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან მიმართებაში, ხელმძღვანელობა აწესებს ვალუტის მაქსიმალური განფენილობის ლიმიტს და მთლიანობაში ორივე ღამის და დღის პოზიციის მიხედვით, რომლის მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება..

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება ან ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა კომპანიის საშუალო ვალუტასთან მიმართებით გაცვლითი კურსების გონივრული შესაძლო ცვლილებებისადმი, სხვა ცვლადების უცვლელად დატოვების პირობებში:

განფენილობა გამოთვლილია მხოლოდ იმ ფულად ბალანსებზე, რომლებიც დენომინირებულია კომპანიის საშუალო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში. კომპანიის სავალუტო რისკის განფენილობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ წარმოადგენს წლის განმავლობაში არსებულ ტიპიურ განფენილობას. შემდგომი ცხრილი წარმოადგენს მოგება ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობას გონივრული შესაძლო ცვლილებების მიმართ გაცვლით კურსებში, გამოყენებული საშუალო განფენილობის სავალუტო რისკისთვის წლის განმავლობაში, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დატოვებით:

		31 დეკემბერი 2022		
	GEL	USD 1 = 3.0976 GEL	EUR 1 = 4.5040 GEL	TRL 1 = 0.2379 GEL
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	133	153	0	19
სავაჭრო მოთხოვნები	701			

შპს მერსინ ტურიზმი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 31.12.2022-ის მდოგმარეობით
საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

სულ ფინანსური აქტივები	834	153	0	18.67
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	336	2,387	1,570	-
გადასახდელი პროცენტი	-	2,138	-	-
გრძელვადიანი სესხი	1,346	47,052	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,682	58,619	1,570	-
სულ წმინდა პოზიცია	(848)	(58,466)	(1,570)	19

	31 დეკემბერი 2021			
	GEL	USD 1 = 3.0976 GEL	EUR 1 = 4.5040 GEL	TRL 1 = 0.2379 GEL
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	485	468	6	2
სავაჭრო მოთხოვნები	739			
სულ ფინანსური აქტივები	1,223	468	6	1.96
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,047	820	1,698	-
გადასახდელი პროცენტი		2,268		
გრძელვადიანი სესხი		53,152		
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,047	58,619	1,698	-
სულ წმინდა პოზიცია	176	(58,151)	(1,693)	2

2022 წლის 31 დეკემბერი

2022	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GE L	USD/GE L	EUR/GE L	EUR/GE L	TRL/GE L	TRL/GE L
	20%	-20%	20%	-20%	20%	-20%
მოგება/ზარალი გადასახდებამდე:	(11,693)	11,693	(314)	314	4	(4)

2021 წლის 31 დეკემბერი

2021	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GE L	USD/GE L	EUR/GE L	EUR/GE L	TRL/GE L	TRL/GE L
	20%	-20%	20%	-20%	20%	-20%
მოგება/ზარალი გადასახდებამდე:	(11,630)	11,630	(339)	339	0	(0)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ანგარიშგების პერიოდების ბოლოს და შესაძარისი თარიღებში, კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები გარდა ფულის და ფულის ეკვივალენტებისა, კერძოდ „მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები“.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს სირთულეები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანიამ აქვს განფენილობა ყოველდღიურად მიიღოს მოთხოვნები თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ახორციელებს ლიკვიდურობის რისკის მართვას. ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური გარდამავალი პროგნოზის მონიტორინგს. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულის და ფულის ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება მიმდინარე გაცვლითი კურსით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

	მოთხოვნა 1 თვემდე ვალდებულება	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტ	31 დეკემბერი 2022 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,293					
ნასესხები სახსრები				2,138	48,398	50,536
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,293	-	-	2,138	48,398	50,536

	მოთხოვნა 1 თვემდე ვალდებულება	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტ	31 დეკემბერი 2021 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,969					
ნასესხები სახსრები				2,268	53,152	55,419
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,969	-	-	2,268	53,152	55,419

18. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას დასახული კომპანიის ამოცანები მიმართულია კომპანიის უნარის შენარჩუნებისაკენ, განაგრძოს ოპერირება მოქმედი საწარმოს სახით და მფლობელს მოუტანოს მოგება, ხოლო სხვა დაინტერესებულ მხარეებს - სარგებლები, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა საკუთარ კაპიტალზე ხარჯების შესამცირებლად. იმისათვის რომ შენარჩუნდეს ან დაკორექტირდეს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელისთვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელს, ან გაყიდოს აქტივები რათა შეამციროს ვალი.

რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე არის იდენტიური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვიკით დაჯგუფებისათვის იყენებს მსჯელობას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მაგრამ მათი რეალური ღირებულება გამჟღავნებულია.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტების საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. სხვა ვალდებულებების რეალური ღირებულებები განსაზღვრული იქნა შეფასების ტექნიკებით. გაცხადებული დაფარვის ვადის მეორე ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებები შეფასებული იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. მოთხოვნისას ან შემდგომ პერიოდში გადასახდელი ვალდებულების („მოთხოვნადი ვალდებულებები“) რეალური ღირებულება შეფასებულია მოთხოვნილი თანხის დისკონტირებული ღირებულებით იმ თარიღის მიხედვით, როდესაც ის პირველად უნდა ყოფილიყო გადახდილი. გამოყენებული დისკონტის განაკვეთები მერყეობს წლიურ 7%-დან 15%-მდე, დამოკიდებულია ვალდებულების ხანდაზმულობასა და ვალუტაზე..

19. შეფასების კატეგორიის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა

შეფასების მიზნებისთვის, ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ ფინანსური აქტივებს შემდეგ კატეგორიებად აკლასიფიცირებს; (ა) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება ან ზარალში ასახვით; (ბ) სავალო ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, (გ) რეალური ღირებულებით შეფასებული წილობრივი ინსტრუმენტები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და (დ) ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. რეალური ღირებულებით შეფასებულ, მოგება ან ზარალში ასახვით ფინანსური აქტივებს, აქვთ ორი ქვეკატეგორია (i) აქტივები, რომლებიც სავალდებულოა რომ, რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება ან ზარალში აისახოს და (ii) აქტივები რომლებიც ასეთად მიჩნეულია თავდაპირველი აღიარებისას. დამატებით, მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან, აისახება ცალკე კატეგორიად.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი გარემოებები რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

შპს „მერსინ ტურიზმი“
2022 წლის მმართველობის
ანგარიშგება

შინაარსი

შესავალი	3
საქმიანობის მიმოხილვა.....	4
ბაზრის მიმოხილვა	4
საკანონმდებლო და სხვა რეგულაციებისა.....	4
კომპანიის შესახებ	5
ორგანიზაციის საქმიანობის სფერო და მისი მიწოდებული სერვისი.....	5
თანამშრომლები.....	6
არაფინანსური მახასიათებლები	6
ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე	6
კორუფციასთან ბრძოლა	7
რისკები და მათი მართვის მექანიზმი	7
საკრედიტო რისკი.....	7
ლიკვიდურობის რისკი	8
საბაზრო რისკები.....	8
ზოგადი რისკები	8
SWOT ანალიზი	9

შესავალი

შპს „მერსინ ტურიზმი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად და დაარსდა 2011 წლის 14 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია გოგებაშვილის 60, ბათუმი, საქართველო. მმართველობითი ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანია ორი პირის მფლობელობაშია, ბატონი თოლგა ავგორენ (80%), საქართველო და ბატონი ათილგან არიფაღაოღლუ (20%).

ჩვენი ძირითადი საქმიანობაა ლუქს კლასის სასტუმრო ბიზნესი, შენობაში ასევე არის განთავსებული რესტორანი და ბარი. ასევე კომპანია აქირავებს კაზინოს სლოტ აპარატებს და სხვა კაზინოს ინვენტარს, საოფისე და კომერციულ ფართებს საკუთარ შენობაში. კომერციული ფართები გაქირავებულია კაზინოსა და სპა და ფიტნეს ცენტრებისთვის.

სასტუმროს შემოსავალი არის დამოკიდებული ტურისტული კომპანიებთან მუშაობაზე, რომლებიც დამსვენებლებს სთავაზობენ სტუმრებს. სასტუმროს ოპერირება პირდაპირ დაკავშირებულია ტურისტების ნაკადებთან ქვეყანაში და კერძოდ აჭარაში.

საქმიანობის მიმოხილვა

ბაზრის მიმოხილვა

სასტუმრო ბიზნესი საქართველოში შეიძლება ითქვას რომ ერთ-ერთი პრიორიტეტული სეგმენტია, როგორც ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი ქვეყანაში, საქართველოს მთავრობის ერთგვარი პოლიტიკაა რომ ხელი შეუწყოს საქართველოს ტურიზმის სექტორის განვითარებას და გაზარდოს ქვეყანა ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ადგილად რეგიონში. მედიაში აქტიურად შუქდება ლუქს კლასის სასტუმროების ახალი ობიექტების მშენებლობა და არსებული ობიექტების გაშუქება, ან სასტუმრო სექტორში სიახლეები.

სასტუმრო ბიზნესის სეგმენტი საქართველოში სხვა სეგმენტებთან შედარებით უკეთესად არის განვითარებული და შესაბამისად ქვეყნის ბიუჯეტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია. სასტუმრო ბიზნესის სექტორში ბრუნვისა და მოგების ზრდის ტრენდი მუდმივად მზარდია, განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ყოველწლიური ტურისტული ნაკადების ზრდასთან. კორონა ვირუსის პანდემიის დამლევის შემდგომ, მნიშვნელოვნად მოიმატა ტურისტთა ნაკადმა როგორც საქართველოში, ასევე კონკრეტულად აჭარის რაიონში, რაც აისახა სასტუმროს ნომრების ფასებზე. ასევე

ტურისტულ ნაკადებში მკვეთრად გამოხატულია სეზონურობა და მზარდი ტრენდით ხასიათდება 2014 წლიდან 2019 წლის მეოთხე კვარტალის მონაცემებით.

მიუხედავად მრავალსმეტყველი სტატისტიკისა და მომავალი პროგნოზებისა, ტურისტული სფერო არის ძალიან ვოლატილური, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა გარეფაქტორზე, რომელიც ვერ იქნება მოქცეული კომპანიის კონტროლის ქვეშ, რომლებსაც პირდაპირი ნეგატიური ზეგავლენა აქვთ ტურისტების მისვლა-მიმოსვლაზე, როგორიცაა მსოფლიო ფინანსური კრიზისები, ახლო წარსულში არსებული პანდემია (COVID-19), პოლიტიკური არასტაბილურობა და ასე შემდეგ.

საკანონმდებლო და სხვა რეგულაციებისა

სასტუმრო და ტურიზმის სექტორი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში რეგულირებული საქმიანობის ფორმაა და ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. საქართველოში სასტუმრო ბიზნესის

საქმიანობას, ზოგადად საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის სავალდებულო საკანონმდებლო აქტების გარდა, კიდევ ოთხი საკანონმდებლო აქტი არეგულირებს.

1. „თავისუფალ ტურისტულ ზონაში სასტუმროს პროფილთან თავსებადი საქმიანობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონი;
2. „თავისუფალ ტურისტულ ზონაში საშუალო და მაღალი კლასის სასტუმროს კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონი;
3. „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. „ქალაქბათუმის, აგრეთვე ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში მდებარე სასტუმროს ახლად აშენებულად ჩათვლის შესახებ საქართველოს კანონი“;

კომპანიის შესახებ

ორგანიზაციის საქმიანობის სფერო და მისი მიწოდებული

სერვისი

ჩვენი კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სასტუმრო სერვისის მიწოდება უცხოელი და არა უცხოელი ტურისტებისთვის, ვისაც სურს ლუქს კლასის სასტუმროში გაჩერება, ცხოვრება და დასვენება.

სასტუმროში არის ორასამდე ოთახი, სხვადასხვა კლასის და ზომის, ისე რომ თითოეული სტუმრის მოთხოვნილება იყოს დაკმაყოფილებული.

მთელი წლის განმავლობაში, სასტუმროს დაკავების პროცენტი საშუალოდ შეადგენს 80%, რაც ინდუსტრიის საშუალო მაჩვენებელთან ახლოსაა. რეგიონის გათვალისწინებით, სეზონურობით უნდა იყოს დათვლილი დაკავებულობის მაჩვენებელი - ივნისი - ოქტომბერი - საშუალო მაჩვენებელი არის 85%, რაც ასევე ინდუსტრიის საშუალო მონაცემთან ახლოს არის. ხოლო დაკავებულობის ინდექსის კორელაცია მთელი ქვეყნის სასტუმროების მასშტაბით დაკავებულობის ინდექსთან არის დაახლოებით 90%.

სარესტორნო სეგმენტი მოიცავს ლუქს კლასის რესტორანსა და ბარს. ასევე, შპს „მერსინ ტურიზმს“ გაქირავებული აქვს საკუთარი ფართი კაზინოზე, რომელიც სასტუმროს შენობაში ფუნქციონირებს.

გარდა ჩვეულებრივი ყოველდღიური საქმიანობისა, იმართება სხვადასხვა სახის წვეულებები, კონფერენციები და ივენტები.

კომპანიის მეორე შემოსავლის ნაკადი არის საოფისე და კომერციული ფართების გაქირავება. კომპანია აქირავებს ფართს, რომელიც გამოიყენება როგორც სპა და ფიტნეს ცენტრი.

შემოსავლების მესამე ნაკადი მოდის მაღაზიებზე, რომლებიც ყიდიან ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და სუვენირებს.

თანამშრომლები

2022 წლის განმავლობაში კომპანიაში 200-მდე თანამშრომელი მუშაობდა და მათზე წლის განმავლობაში ხელფასის სახით 2.5 მილიონ ლარზე მეტი გაიცა. კომპანია საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთი საუკეთესო დამსაქმებელია, ხელფასები კონკურენტუნარია, ასევე კომპანია იღებს თანამშრომლების კვებისა და ჯამრთელობის დაზღვევის ხარჯებს. კომპანია მხარს უჭერს გენდერულ თანასწორობასა და ადამიანის ნებისმიერი დისკრიმინაციის ფორმის წინააღმდეგ.

მუდმივად ვცდილობთ, გავაუმჯობესოთ თანამშრომელთა სამუშაო პირობები და გარემო. კომპანია ახალი თანამშრომლების შერჩევისას არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული კანდიდატების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციით.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი.

არაფინანსური მახასიათებლები

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს შრომის უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს და აღნიშნული მოთხოვნების დაცვასთან ერთად, შპს „მერსინ ტურიზმი“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

ასევე, 2017 წელს მომხადარი ხანძრის გამო, უსაფრთხოების ნორმები იყო გადახედილი და გაუმჯობესებული, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ხანძრის შემდეგ, სასტუმრო გაიხსნა მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფომ დაუდასტურა უსაფრთხოების ნორმების შესაბამისობა.

რის შემდეგ, კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ სხვადასხვა სახის ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიას აქვს ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის მიმართ და ჩვენთან დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

რისკები და მათი მართვის მექანიზმი

რისკების იდენტიფიცირება და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო, კომპანია შემდეგ რისკებს მიმართ არის მგრძნობიარე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და კომპანიას ძირითადად წარმოეშვება ფულის და ფულის ექვივალენტებისგან. 2021 წლის ბოლოსათვის, ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების სახით შპს „მერსინ ტურიზმი“ სხვადასხვა ვალუტის ნაღდი ფულისა და რამდენიმე საბანკო ანგარიშზე ფულისა და მისი ექვივალენტების სახით ფლობდა, ჯამში 960 ათას ექვივალენტს ლარში. ანგარიშები მთლიანად განთავსებულია ქვეყნის სამ ბანკში, რომელთა შორის ერთი არის საქართველოში უმსხვილესი ბანკი, რომლის საკრედიტო რეიტინგი არის:

ბანკის სახელწოდება	გრძელვადიანი რეიტინგი	მოკლევადიანი რეიტინგი	საკრედიტო სააგენტო
--------------------	--------------------------	--------------------------	-----------------------

TBC ბანკი	BB-	B	Fitch
-----------	-----	---	-------

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას იხილავთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივებს აღემატება 2,4 მილიონით (current ratio – 0.46) რაც უქმნის კომპანიას ლიკვიდურობის მაღალ რისკს, რის გამოც მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო იქნება ან გრძელვადიანი აქტივების გამოყენება ან ახალი ვალდებულების (გრძელვადიანის) აღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, აღნიშნული სხვაობა მნიშვნელოვნად არ შემცირებულა.

საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო კონვერტაციის განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე. მოგება ან ზარალის არასტაბილურობის სამართავად კომპანია არ მიმართავს ჰეჯირების პრაქტიკას.

ზოგადი რისკები

კომპანიას გააჩნია შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია საოპერაციო რისკების (მაგ. თაღლითობა, ქურდობა, და ა.შ.) შემცირებისაკენ. რეგულარულად ხდება მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და აღწერა, რაც ხელს უწყობს მაღალი დონის დაცულობას მსგავსი რისკებისგან. შიდა შემოწმებების შედეგად უკანასკნელ პერიოდში რაიმე სერიოზული ხარვეზი ან დანაკლისი არ გამოვლენილა.

SWOT ანალიზი

	პოზიტიური	ნეგატიური
შიდა	ძლიერი მხარეები - კომპანიის აქტივები - მომსახურების ხარისხი - ამონაგების ზრდის ტრენდი - ძლიერი გუნდი - სავაჭრო მარკა	სუსტი მხარეები - დაგროვილი ზარალი - ვალდებულებების აქტივებზე სიჭარბე - უარყოფითი კაპიტალი
გარე	შესაძლებლობები - ტურიზმის განვითარება - კანონმდებლობის მოქნილობა - სერვისის მოთხოვნის ზრდა	საფრთხეები - ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა - რეგულაციების გამკაცრება - ძლიერი კონკურენტები - პოლიტიკური დესტაბილიზაცია - ბაზრების ცვალებადობა - გაუთვალისწინებელი გარემოებები

ეროლ ავგორენ

დირექტორი

30 სექტემბერი, 2023